„**ვამტკიცებ**“:

შპს „თელმიკო“-ს საოპერაციო დირექტორი
ს. პოლუშკინი

„___“ ______________ 2026წ.

**ტექნიკური დავალება**
**შპს „თელმიკო“-ს შესყიდვებზე**
**ლოტი №683.26.00016 - «NAS მონაცემთა შენახვისათვის» 2026წ. შწკპ**

**1. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერა**

ორი ერთეული NAS მონაცემების შენახვის სისტემა და მისი კომპონენტები **დანართი №1**-ის შესაბამისად.

**1.1. საქონლის მიწოდების ვადები**

მიწოდების დაწყება / მიწოდების დასრულება - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღე.

**2. ზოგადი მოთხოვნები საქონლის მიმართ**

**2.1.** შესასყიდი საქონელი გამოყენებული იქნება შპს „თელმიკო“-ში და თავისი ტექნიკური მახასიათებლებით უნდა შეესაბამებოდეს და თავსებადი იყოს დანარჩენ მოწყობილობებთან.

**2.2.** მიწოდებული საქონელი და მასში გამოყენებული მასალები უნდა იყოს ახალი, ადრე გამოუყენებელი და წარმოადგენდეს უახლეს ან თანამედროვე მოდელებს, ამასთან, საქონელი წარმოებული უნდა იყოს არა უადრეს 2025 წლისა.

**2.3. სარაგანტიო მოთხოვნები**

დანართი №1-ში მოცემულ საქონელზე, უნდა ვრცელდებოდეს გარანტია (შემდგომში - საგარანტიო მხარდაჭერა) ქვემოთ მოცემული პირობებისა და **დანართი №1**-ის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მიწოდებულ საქონელზე დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში, ყველა ხარჯი, რომელიც უკავშირდება მიწოდებული მოწყობილობის დეფექტების აღმოფხვრას, დემონტაჟს, ტრანსპორტირებას და შემდგომი მონტაჟს, ეკისრება აღნიშნული მოწყობილობის მიმწოდებელს ან მწარმოებელს.

QNAP NAS-ზე (მონაცემების შენახვის სისტემაზე) უნდა ვრცელდებოდეს მწარმოებლის საგარანტიო მხარდაჭერა „**Standard Warranty**“ 36 თვის ვადით. მიმწოდებელმა შპს „თელმიკო“-სათვის უნდა უზრუნველყოს წვდომა QNAP NAS-ის საგარანტიო მხარდაჭერაზე მწარმოებლის მხრიდან.

QNAP NAS-ის მწარმოებლის საგარანტიო მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს:

- მოწოდებული საქონლის მწარმოებლის მიერ.
- QNAP NAS-ის მწარმოებლის საგარანტიო მხარდაჭერა „**Standard Warranty**“-ის შესაბამისად (დანართი №2) და დანართი №1-ში მოცემული ვადის (36 თვის) განმავლობაში, ზედნადებით საქონლის მიღების დღიდან.

Storage (სანახი) **SSD (WD, Red SA500, SATA III, 2.5-inch, 2TB, WDS200T2R0A)-სა და** Storage (სანახი) **HDD (Seagate, IronWolf, SATA III, 3.5-inch, 8TB, ST8000VN004)-ზე**, უნდა ვრცელდებოდეს მიმწოდებლის საგარანტიო მხარდაჭერა არანაკლებ 12 თვით. საგარანტიო მოვლენის დადგომის შემთხვევაში მომწოდებელმა, არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში, უნდა უზრუნველყოს მისი ახლით ჩანაცვლება.

**3. მოთხოვნები საქონლის მიწოდების შესრულების მიმართ**

**3.1. მოთხოვნები შესაძენი საქონლის გაგზავნისა და მიწოდების მიმართ**

საქონლის მომხმარებლის საწყობამდე მიტანა და მომხმარებლის საწყობში გადმოტვირთვა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ძალებით. შესყიდვის მონაწილემ თავისი წინადადების ფასში უნდა შეიტანოს საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მიწოდების ხარჯები. შესყიდვის მონაწილემ თავისი წინადადების ფასში უნდა შეიტანოს დაზღვევასთან, საბაჟო გადასახდელებთან, გადასახადებთან, მოსაკრებლებთან და სხვა სავალდებულო გადასახდელებთან დაკავშირებული ხარჯები.

**3.2. მოთხოვნები შესაძენი საქონლის ტარისა და შეფუთვის მიმართ**

მისაწოდებელი საქონელი უნდა გაიგზავნოს მწარმოებელი ქარხნის შეფუთვაში (ან ტარაში). ტარამ და შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული დაცულობა დაზიანებისა და გაფუჭებისგან ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს. შეფუთვა და ტარა უნდა იყოს სათანადოდ მარკირებული.

**3.3. მოთხოვნები საქონლის მიღების მიმართ**

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება მიწოდებული საქონლის მიღებისას. საქონელი (NAS) მიწოდებული უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექტთან ერთად, რომელიც უნდა შეიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგს:

- მოწყობილობის პასპორტი;
- უსაფრთხოების დასაბუთების ასლი;
- ექსპლუატაციის სახელმძღვანელო (ინსტრუქცია);
- შესაბამისობის სერტიფიკატები, დეკლარაცია შესაბამისობის შესახებ ან მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების გამოცდების ოქმები.

**4. მოთხოვნები შესყიდვის მონაწილეების (მიმწოდებლების) მიმართ**

**4.1.** შესყიდვის მონაწილემ უნდა წარადგინოს დოკუმენტი, რომ არის QNAP-ის ოფიციალური წარმომადგენელი ან რეგისტრირებული უნდა იყოს პარტნიორთა სიაში კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**4.2.** საქონლის მიწოდების გამოცდილება - არანაკლებ 3 შესრულებული ხელშეკრულება ბოლო 2 წლის განმავლობაში.

**5. მოთხოვნები ანგარიშსწორების წესის მიმართ**

ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, ანგარიშფაქტურისა და ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტის (ორიგინალის) წარდგენიდან 30-ე კალენდარულ დღეს (დღეების ათვლა დაიწყება დოკუმენტაციის წარდგენიდან მომდევნო კალენდარულ დღეს). თუ გადახდის დღე ემთხვევა გამოსასვლელ (უქმე) დღეს, ანგარიშსწორება წარმოებს მის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

**6. ტდ-ის დანართები**

**დანართი №1** - შესასყიდი საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია, რაოდენობა, მხარდაჭერის ვადა

**დანართი №2** - QNAP NAS-ის საგარანტიო მხარდაჭერა Standard Warranty.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვ. რევიშვილი - მობ.: +995 599 874 540

შეთანხმებულია:

შპს „თელმიკო"-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების

სამსახურის ხელმძღვანელი ვ. რევიშვილი

შპს „თელმიკო"-ს ტექნიკური მხარდაჭერისა

ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გ. ძიმისტარიშვილი

**დანართი №1**

შესასყიდი საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია, რაოდენობა, მხარდაჭერის ვადა:

| # | დასახელება და სპეციფიკაცია | რაოდენობა | საგარანტიო მხარდაჭერის ვადა (თვე) |
|---|---|---|---|
| | **NAS №1** | | |
| 1 | **QNAP NAS (მონაცემების შენახვის სისტემა): TS-h1887XU-RP-E2336-32G 18-Bay 2U rackmount NAS, Intel® Xeon® E-2336 6 cores / 12 threads 2.9 GHz processor (boost up to 4.8 GHz), 32 GB ECC DDR4, 12 x 2.5"/3.5" SATA 6Gbps HDD/SSD + 6 x 2.5" SATA 6Gbps, 2 x 10GBASE-T, 2 x 2.5GbE, 4 x USB 3.2 Gen2 ( USB-A), 2 x PCIe Gen4 x4 + 2 x PCIe Gen4 x8, 550W redundant power supply, QuTS hero O.S. with ZFS, deduplication, compress, snapshots, optional fibre channel FC support** | 1 | 36 |
| 2 | Storage (სანახი) **SSD (WD, Red SA500, SATA III, 2.5-inch, 2TB, WDS200T2R0A)** | 4 | არანაკლებ 12 თვე |
| 3 | Storage (სანახი) **HDD (Seagate, IronWolf, SATA III, 3.5-inch, 8TB, ST8000VN004)** | 12 | არანაკლებ 12 თვე |
| 4 | **RAIL-B02 Rail Kit (სრიალა სამაგრის ნაკრები)** | 1 | არ მოითხოვება |
| | **NAS №2** | | |
| 1 | **QNAP NAS (მონაცემების შენახვის სისტემა): TS-h1887XU-RP-E2336-32G 18-Bay 2U rackmount NAS, Intel® Xeon® E-2336 6 cores / 12 threads 2.9 GHz processor (boost up to 4.8 GHz), 32 GB ECC DDR4, 12 x 2.5"/3.5" SATA 6Gbps HDD/SSD + 6 x 2.5" SATA 6Gbps, 2 x 10GBASE-T, 2 x 2.5GbE, 4 x USB 3.2 Gen2 ( USB-A), 2 x PCIe Gen4 x4 + 2 x PCIe Gen4 x8, 550W redundant power supply, QuTS hero O.S. with ZFS, deduplication, compress, snapshots, optional fibre channel FC support** | 1 | 36 |
| 2 | Storage (სანახი) **SSD (WD, Red SA500, SATA III, 2.5-inch, 2TB, WDS200T2R0A)** | 18 | არანაკლებ 12 თვე |
| 3 | **RAIL-B02 Rail Kit (სრიალა სამაგრის ნაკრები)** | 1 | არ მოითხოვება |